

სად ტარდება ვაქცინაცია?

შეგიძლიათ აიცრათ:

- ვაქცინაციის ცენტრში
0 800 009 110 www.santé.fr
- თქვენს ექიმებთან, თქვენს ადგილობრივ ავთიაქში ან თქვენს ჯანდაცვის ცენტრში
- თქვენს სამუშაო ადგილას, თუ მუშაობთ ჯანდაცვის სამსახურში

კითხვები გაქვთ?

მიმართეთ ჯანდაცვის სპეციალისტს, სოციალურ მუშაკს, თქვენს მერიაში



ვაქცინაციისთვის:
0 800 009 110
(უფასო ზარი)

ან **Santé.fr**


ან

Covid-ის ვაქცინები - სასარგებლო ინფორმაცია

თქვენი ვაქცინის მიღება: თავდაცვისთვის

ვაქცინების წყალობით თქვენი სხეული სწავლობს Covid-ის ამოცნობას და მისგან თავდაცვას.

Covid-ის ვაქცინები მაღალ ეფექტურია Covid-19-ის მძიმე ფორმებისგან დასაცავად.




ვაქცინები ყველასთვის უფასოა.



Covid-ის ვაქცინები - ჩემი კითხვები

თუ დაავადებული ვარ (მაგალითად, დიაბეტით, კიბოთი ან იშვიათი დაავადებით), შემიძლება თუ არა ავიცრა?

 **დიახ**



თუ დაავადებული ხართ, უნდა აიცრათ, რადგან თქვენ შესაძლოა მარტივად გაგივითარდეთ Covid-19-ის მძიმე და სასიკვდილო ფორმა. ვაქცინა დაგეხმარებათ ვირუსთან ბრძოლაში.

თუ უკვე მქონდა Covid-19, უნდა ავიცრა თუ არა?

 **დიახ**



უნდა აიცრათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკვე გადაიტანეთ Covid-19. აცრა შეგიძლიათ ავადმყოფობიდან სამიდან ექვს თვემდე, მხოლოდ ერთი დოზით (ორი დოზის მაგივრად).


თუ აცრილი ვარ, შემიძლება დავუბრუნდე ცხოვრების ნორმალურ რეჟიმს და შევწყვიტო ნიღბის ტარება?



 **არა**

იმ შემთხვევაშიც, თუ აცრილი ხართ, უნდა გააგრძელოთ ნიღბის ტარება და დამცავი ზომების მიღება, სანამ მთელი მოსახლეობა არ იქნება ვაქცინირებული.

თუ აცრილი ვარ, შემიძლება უფრო მარტივად ვიმოგზაურო?



 **არა**

იმ შემთხვევაშიც, თუ აცრილი ხართ, მოგზაურობამდე 72 საათით ადრე უნდა ჩაიტაროთ PCR ტესტი, სანამ მთელი მოსახლეობა არ აიცრება. ეს ტესტი უფასო და უმტკივნეულოა. მოგზაურობამდე უნდა გადაამოწმოთ თითოეული ქვეყნის წესები.